

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მედიისა და ტელეხელოვნების კოლეჯის 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების
მონიტორინგის ანგარიში

მომზადებულია გასული წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისი კვარტალური
ანგარიშების საფუძველზე

1. **სასწავლო და საწარმოო მიზნით გამოყენებადი ტექნიკური აღჭურვილობის
ნაწილობრივი განახლება** (აქცენტი გაკეთდა 4K გაფართოების ვიდეო
კამერებისა და ცვლადი ოპტიკის შეძენაზე, რაც სტუდენტებს საწარმოო დონის
ტექნიკასთან მუშაობის გამოცდილებას აძლევს).
2. **ზრდასრულთა მოკლევადიანი სასერთიფიკატო სასწავლო კურსების
რეალიზაცია**

განხორციელდა მიღება პროფესიული მომზადების ორ პროგრამაზე -
„ფოტორედაქტირება“ და „ვიდეო მემონტაჟე-გრაფიკოსი“.

პროგრამაზე „ფოტორედაქტირება“ გამოცხადებულ 15 ადგილზე დარეგისტრირდა 48
აპლიკანტი, აქედან მისაღებ გამოცდაზე გამოცხადდა 21 აპლიკანტი და ჩაირიცხა 15.
პროგრამა წარმატებით დაასრულა 7-მა მსმენელმა. სასწავლო პრაქტიკული პროცესი
მიმდინარეობდა დისტანციურად, ონლაინ პლატფორმა Teams-ის მეშვეობით.

პროგრამაზე „ვიდეო-მემონტაჟე გრაფიკოსი“ გამოცხადებულ 15 ადგილზე
დარეგისტრირდა 136 აპლიკანტი; მისაღებ გამოცდაზე გამოცხადდა 76 და ჩაირიცხა
15 მსმენელი. პროგრამა წარმატებით დაასრულა 9 მსმენელმა. სასწავლო
პრაქტიკული პროცესი მიმდინარეობდა როგორც რეალურ სასწავლო გარემოში ასევე,
ონლაინ პლატფორმა Teams-ის მეშვეობით.

3. **პროფესიული პროგრამების რეალიზაციაში ახალი ადამიანური რესურსის
(მოწვეული მასწავლებლების) მოზილიზება პროგრამების ხელმძღვანელთა
ჩართულობით**

2021 წელს სასწავლო პროცესში ჩაერთო პროფესიული განათლების 30
მასწავლებელი.

4. პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის კონსულტაციების და ტრენინგების უზრუნველყოფა

განისაზღვრა ტრენინგების ის თემატიკა, რომლებითაც დაინტერესებული არიან მასწავლებლები ან გამოიკვეთა საჭიროებები მოდულის შეფასების კითხვარებიდან. ერთ-ერთ ასეთ თემად გამოიკვეთა ინტერაქტიული სწავლის მეთოდის - „შებრუნებული საკლასო ოთახის“ გამოყენება სასწავლო პროცესში. აღნიშნულ თემაზე მომზადდა პრეზენტაცია, რომელიც მასწავლებლების თავისუფალი დროის მიხედვით უნდა ჩატარებულიყო 2021 წლის მესამე კვარტალში. დაგეგმილ პერიოდში დროის უმეტესი რესურსი დაეთმო პროფესიულ სტუდენტთა და მსმენელთა ახალი ნაკადის ჩარიცხვასთან დაკავშირებულ აქტივობებს; თუმცა სასწავლო პროცესში ჩართულ ყველა მასწავლებელს მაინც გაეწია ინდივიდუალური კონსულტაციები შეფასების პროცესთან დაკავშირებით კოლეჯში ან ონლაინ საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.

5. მოტივირებული და ინფორმირებული აპლიკანტების მოზიდვის მიზნით PR აქტივობების განხორციელება

კოლეჯში მომზადებული გრაფიკული ვიდეორგოლი გავიდა ტელევიზიის ეთერში. ამავე მიზნით ტელეკომპანია „იმედის“ დილის ეთერში მოეწყო კოლეჯის დირექტორის და საწარმოო დეპარტამენტის ხელმძღვანელის სტუმრობა. სარეკლამო ვიდეორგოლი გავრცელდა კოლეჯის სოციალურ ქსელში; ფეისბუქისა და ინსტაგრამის გვერდებზე. კვირაში ორჯერ იდებოდა ახალი პოსტები პროგრამებთან დაკავშირებით. კოლეჯის ფეისბუქის გვერდზე შეიქმნა პროფესიული განათლების ჯგუფი.

6. სასწავლო მიზნით დამატებითი ფართის მოძიება მეოთხე დონის ინტეგრირებული პროგრამების განსახორციელებლად.

ინტეგრირებული პროგრამის განხორციელება საჭიროებს დამატებით ფართს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოსაწყობად და ინტეგრირებული მოდულების განსახორციელებლად. ეს პროცესი წარუმატებლად დასრულდა, რადგან უზნადის 68-ში განთავსებულ სხვა იურიდიულ პირებს საარენდო ფართები არ გააჩნიათ.

7. ახალ პარტნიორებთან მოლაპარაკებების წარმოება ერთობლივი სასწავლო-შემოქმედებითი აქტივობების განსავითარებლად მ.შ. მოკლევადიანი საერთაშორისო პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მიზნით.

2021 წელს გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ტელეკომპანიასთან „იმედი“; საერთაშორისო უნივერსიტეტთან „ალტერბრიჯი“, ააიპ ინფორმაციული ტექნოლოგიების პროფესიულ კავშირთან, ტელერადიო კომპანიასთან „ბორჯომი“, შპს-თან „იმპერია“(მეცხრე არხი), შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან „ევროპული სკოლა“ და სსიპ კოლეჯთან „აისი“. განახლდა მემორანდუმი შპს-თან „კიკალა სტუდიო“.

საერთაშორისო პრაქტიკული ვიდეო პროექტისა და მასტერკლასის ჩატარების მიზნით მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ვარშავის კინოსკოლის პედაგოგთან - კინო-ვიდეოოპერატორ ანდრეი ვოლფთან, დრამატურგ ბესიკ სოლომანაშვილთან და რეჟისორ გიორგი ებრალიძესთან. პროექტის ძირითადი სამიზნე აუდიტორია იყო 2020 წლის მიღების „ტელერეჟისურის“, „ვიდეო-საოპერატორო ხელოვნების“, „ვიდეომონტაჟის“ და „სატელევიზიო კომპიუტერული გრაფიკის“ პროგრამების პროფესიული სტუდენტები, რომლებსაც უნდა გადაეღოთ 5 წუთამდე ქრონომეტრაჟის დადგმითი ფილმი. პოლონელი პედაგოგის ავადმყოფობის გამო პროექტი გადავადდა 2022 წლის პირველ კვარტალში.

8. მასტერკლასების ორგანიზება (მინიმუმ ერთი მასტერკლასი სასწავლო პროგრამაზე)

კოლეჯის ინიციატივით და თანაორგანიზებით ა(ა)იპ კოლეჯში „იკაროსი“ ჩატარდა კულინარიული კონკურსი, რაც კოლეჯისთვის წარმოადგენდა სასწავლო პრაქტიკულ ვიდეო პროექტს 2020 წლის მიღების "ვიდეო-საოპერატორო ხელოვნება"; "ტელერეჟისურა"; "რეპორტიორი" და "ტელე-რადიო წამყვანი" პროგრამების სტუდენტებისთვის. ეს პრაქტიკული სამუშაო ჩატარდა 2021 წლის 27 დეკემბერს კოლეჯში „იკაროსი“ სახელდახელოდ მოწყობილ “C” სასწავლო გარემოს სამ ლოკაციაზე. „რეპორტიორი“ და „ტელე-რადიო წამყვანი“ პროგრამების სტუდენტები ჩართული იყვნენ ინტერვიუების და სთენდაფების ჩაწერაში, კონკურსის მონაწილეთა სატელევიზიო პორტრეტების შექმნაში. სტუდენტი ოპერატორები და ტელერეჟისორები გადანაწილებული იყვნენ სამ ლოკაციაზე და იღებდნენ კულინარიული კონკურსის მიმდინარეობას მრავალკამერიანი სატელევიზიო სისტემით.

2021 წლის მიღების ფოტოგრაფიის სტუდენტებმა სამივე ლოკაციაზე უზრუნველყვეს რეპორტაჟული ფოტოგადაღება.

პროცესი მიმდინარეობდა კოლეჯის სასწავლო დეპარტამენტის მენეჯერის კონტროლით და მასში აგრეთვე მონაწილეობდა საწარმოო დეპარტამენტის სრული შემადგენლობა. გადაღებული ვიდეო მასალის მონტაჟსა და გრაფიკულ „შეფუთვაში“ ჩაერთვებიან ვიდეომემონტაჟის და სატელევიზიო კომპიუტერული გრაფიკის პროგრამების პროფესიული სტუდენტები.

9. საქართველოს რეგიონალურ მაუწყებლებთან მოლაპარაკება მათ ქსელში სტუდენტური ტელევიზიის პროდუქციის განთავსების მიზნით

„საქართველოს რეგიონალურ მაუწყებელთან“ წარმატებული მოლაპარაკების საფუძველზე 2021 წლის გაზაფხულზე გაფორმდა მემორანდუმი, რომლის თანახმადაც კოლეჯის სტუდენტთა მიერ მომზადებული ყოველკვირეული სატელევიზიო გადაცემა „პარაშუტი“ 2021 წლის მაისიდან განთავსდა რეგიონალური მაუწყებლის 12 არხზე. ცალკე მოლაპარაკების საფუძველზე სტუდენტთა გადაცემა ასევე გადიოდა „ტვ ახალციხე“ „ტვ ბორჯომი“ „ტვ ბოლნისი“ და „ტვ 25“-ის არხებზეც.

10. პარაშუტის საპილოტე გადაცემის წარდგენა საზოგადოებრივ მაუწყებელთან ყოველკვირეული საეთერო დროის გამოყოფის მიზნით;

ეს შეხვედრები არხის ხელმძღვანელებთან წარუმატებლად დასრულდა. არხის ხელმძღვანელობას არ აქვს სასწავლო დაწესებულებასთან თანამშრომლობის სურვილი და ვერ იაზრებს მის საჭიროებას არხის განვიტარების გრძელვადიან პერსპექტივაში.

11. სკოლის მოსწავლეებში შრომითი უნარების ქვეპროგრამის ფარგლებში სასწავლო კურსების გადამუშავება და განხორციელება

2021 წელს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ არ გამოცხადებულა განაცხადების მიღება აღნიშნული პროექტისთვის.

12. კოლეჯის ახალი შენობის არქიტექტურულ-კონსტრუქციული პროექტისთვის მომიჯნავე პროექტების შემუშავებაში მონაწილეობა; ტენდერის გამოცხადება და მშენებლობის დაწყება ESIDA-ს მიერ.

ESIDA-ს მიერ დასრულდა პროექტი და გამოცხადდა ტენდერი კოლეჯის შენობის განსაფასებლად.

13. კოლეჯში დაცული სასწავლო რესურსის გაციფრულება

საარქივო მასალიდან, რომელიც მოთიანად სხვადასხვა ფორმატის ვიდეო მაგნიტურ ფირებზეა დაცული, გაციფრულია 1989-2000 წლების საეთერო გადაცემების ბლოკი. რაც შეეხება წიგნად რესურს, დაწყებულია მისი გაციფვრა და ძირითადად გრძელდება მიზნობრივად, მოდულების საჭიროებიდან გამომდინარე პროფესიული მასწავლებლების მოთხოვნის შესაბამისად.

14. დამსაქმებელთა საბჭოს ფორმირება და შეხვედრების ორგანიზება

საბჭოს ფორმირება არ მომხდარა, აღნიშნული აქტივობა გადავა 2022 წლის სამოქმედო გეგმაში.

15. პროფესიულ პროგრამებზე მიღება

პროგრამაზე „ტელე-რადიო წამყვანი“ - მიღება გამოცხადდა 8 ადგილზე.

დარეგისტრირდა 144 აპლიკანტი;

პროგრამაზე „რეპორტიორი“ - მიღება გამოცხადდა 9 ადგილზე. დარეგისტრირდა 109 აპლიკანტი;

სულ ამ ორ პროგრამაზე დარეგისტრირდა 177 უნიკალური აპლიკანტი და გასაუბრებაზე გამოცხადდა - 126.

პროგრამაზე რეპორტიორი საჭირო გახდა მეორადი ჩარიცხვის წესით მიღება სადაც გამოცხადდა 5 ადგილი, დარეგისტრირდა - 11 აპლიკანტი, გასაუბრებაზე კი გამოცხადდა- 8 და 1 პროფესიული სტუდენტი ჩაირიცხა ქვოტის ზევით მინისტრის ბრძანებით, რომელიც კოვიდ-19-ის გამო ვერ გამოცხადდა ტესტირებაზე.

პროგრამაზე ფოტოგრაფია 30 საკონკურსო ადგილზე დარეგისტრირებული იყო 426 აპლიკანტი, ზოგადი უნარების ტესტზე გავიდა 174, გასაუბრება დაენიშნა -149 აპლიკანტს, გასაუბრებაზე გამოცხადდა -134. ჩაირიცხა-30 პროფესიული სტუდენტი.